

ქალაქ ფოთში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასა და თევზის  
გადამუშავებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების ანალიზი - ანუ  
ცხოვრება ზღვისპირა ქალაქში ჰაერის გარეშე

ნინო ტაგანაშვილი

## მთავარი მიგნებები:

- გარემოსდაცვითმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს დაზიანებული გარემოს აღსადგენად საჭირო ღონისძიებების გატარება;
- ამ სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ნორმები უმეტესად დეკლარაციული ხასიათისაა, რაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს და განხორციელდეს მათი ეფექტური აღსრულება;
- პასუხისმგებელი უწყებები უნდა ფლობდნენ დეტალურ ინფორმაციას, განხორციელდა თუ არა გარემოსთვის მიყენებული ზიანის საბოლოო ანაზღაურება;
- სამართალდამრღვევ პირთათვის დაკისრებული ჯარიმების ოდენობები შეუსაბამოდ მცირეა მათ მიერ დაზიანებულ სიკეთესთან შედარებით და უნდა გაიზარდოს;
- საჭიროა საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისევე, როგორც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან მჭიდრო კოორდინაცია.
- საჭიროა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის დასადგენად ევროკავშირის დირექტივების დებულებების დროული იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში;
- საჭიროა ქალაქ ფოთში ნავსადგურის ტერიტორიაზე შესწავლილ და გამოკვლეულ იქნას სხვადასხვა საშიში ნივთიერებების ჰაერში გაფრქვევის ფაქტები.

დღესდღეობით გარემოსდაცვითი პოლიტიკის დახვეწა და ამ მიმართულებით სისტემური მიდგომების დანერგვა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ასოცირების შეთანხმებით<sup>1</sup> ქვეყანამ აიღო ვალდებულება განავითაროს და განამტკიცოს თანამშრომლობა ევროკავშირთან გარემოს დაცვის საკითხებზე. ამ მხრივ საინტერესოა „ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ“ 2008/50/EC დირექტივის კონკრეტული დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ვალდებულება. ეს თემები ასოცირების დღის წესრიგის არსებით ნაწილად იქცა, რომელიც ხაზს უსვამს საკითხის აქტუალობას. მეორე მხრივ, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და შესაბამისი სტანდარტების ასახვა ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი, უსაფრთხო გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებას, წყლისა და ნარჩენების მენეჯმენტის გაუმჯობესებასა და ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდას. გარდა ამისა, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით უკვე გაწერილია კონკრეტული პრინციპები და ნორმები, რომელთა დაცვის ვალდებულება ეკისრება ნებისმიერ პირს და მათ შორის მეწარმე სუბიექტებს, სხვადასხვა წიადის, ბუნებრივი რესურსის მოპოვების თუ სარგებლობისას. ამასთანავე, თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებს, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, იმოქმედონ კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, მათ შორის, უზრუნველყონ ზედაპირული წყლის ობიექტებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებთან შესაბამისობების დაცვა,<sup>2</sup> აქვთ ვალდებულება ნარჩენების მართვა განახორციელონ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას ჰაერს, წყალს, ნიადაგს, ფლორასა და ფაუნას, არ გამოიწვიონ ზიანი სუნით და არ მოახდინონ უარყოფითი გავლენა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებით - დაცულ ტერიტორიებზე.<sup>3</sup>

თუმცა მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში (მათ შორის, ორჰუსის კონვენციით) დეკლარირებული ძირითადი პრინციპების შესრულების ვალდებულება მოქალაქეების წინაშე სწორედ სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლს წარმოადგენს. დადგენილი ნორმების შესრულებაზე კონტროლიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, რომლის არაეფექტურ განხორციელებასაც ქალაქ ფოთის მაცხოვრებლები უკვე წლებია უჩივიან. მათთვის ყოველდღიურობის ჩვეულებრივ ნაწილად იქცა გაუსაძლის თევზის სუნთან შეგუება, რომელიც იგრძნობა არა მხოლოდ ფოთის პორტის, არამედ მთელი ქალაქის ტერიტორიაზე ფაქტობრივად წლის ნებისმიერ პერიოდში. არასასიამოვნო სუნი იმდენად მძაფრია, რომ უმეტესად მოსახლეობა სახლის ფანჯრებსაც ვეღარ აღებს. ბოლო პერიოდში რამდენიმე საპროტესტო აქციაც გაიმართა, თუმცა პრობლემა ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული.

<sup>1</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 301-ე მუხლი.

<sup>2</sup> გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის N17 დადგენილება, დანართი N1, მე-4 პუნქტი.

<sup>3</sup> ნარჩენების მართვის კოდექსი, მე-5 მუხლი, 1-ლი ნაწილი.

სუნის გამომწვევი მიზეზი ძირითადად თევზის გადამამუშავებელი ქარხნების მიერ მთელი რიგი სტანდარტების დაუცველობას უკავშირდება, მათ შორის, საწარმოების ნაწილს არ აქვს დაყენებული სპეციალური გამწმენდი ფილტრები, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ თევზის სუნის გავრცელებას, გარდა ამისა, თევზის ტრანსპორტირებისას იღვრება წყალი, რომელიც ხვდება ქუჩაში. სხვადასხვა ნარჩენი, რომელიც თევზის გადამამუშავების პროცესში გამოიყოფა ხვდება ზედაპირულ წყლებში. მოსახლეობის ინფორმაციით, სპეციალური არხიც არის გაჭრილი საწარმოდან ტბა პალიასტომამდე, სადაც არაუტილიზებული ნარჩენები იყრება, რომელიც მთლიან ეკოსისტემას დიდ საფრთხეს უქმნის. მათივე ინფორმაციით, ტბაში თევზის 44 სახეობიდან მხოლოდ 4 სახეობაა დარჩენილი. ამ და სხვა საკითხების დასაზუსტებლად და ანალიზისთვის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიემართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას.

სამინისტროს ინფორმაციით, ქალაქ ფოთში ფუნქციონირებს თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი 4 საწარმო: შპს „აისბერგი 2“, შპს „მბმ“, შპს „ზღვის პროდუქტები“ და შპს „გეოფიმ კომპანი“. მათი ლიცენზია ითვალისწინებს თევზის რესურსით სარგებლობის განხორციელებას 01 ოქტომბრიდან 31 სექტემბრის ჩათვლით, გარდა ამისა, სამინისტროსვე ინფორმაციით, აღნიშნული საწარმოები ძირითადად ნოემბერ-აპრილის პერიოდში ახორციელებენ თევზის გადამამუშავებას, თუმცა პრაქტიკულად ეს ასე არ არის. ქალაქში თევზის არასასიამოვნო სუნი ზაფხულსა და შემოდგომაზეც მძაფრად იგრძნობა.

სამინისტროს აგრეთვე მიემართა თხოვნით, მოეწოდებინა ინფორმაცია იმის შესახებ, ხორციელდება თუ არა ქალაქ ფოთში მდებარე თევზის გადამამუშავებელ საწარმოების საქმიანობაზე მონიტორინგი გარემოზე ზემოქმედების კუთხით, რაზეც სამინისტრომ 2017 და 2018 წლებში განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია. სამინისტროს არ მოუწოდებია ინფორმაცია 2019 წლის მონიტორინგის მონაცემების შესახებ, სავარაუდოა, რომ მსგავსი შემოწმება ბოლო პერიოდში აქტიურად არც განხორციელებულა.

2017 წელს გამოვლენილი დარღვევები ოთხივე საწარმოში მეტწილად მსგავსია, კერძოდ, საწარმოების ტერიტორიებზე არ იყო მოწყობილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი სათანადო ნაგებობა და საწარმოში წარმოქმნილი დაბინძურებული წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინებოდა ზედაპირული წყლის ობიექტებში; საწარმოები ფუნქციონირებდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის გარეშე; ერთ-ერთ საწარმოში არ ხდებოდა აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გამოყენება; ყველა საწარმოებში ასევე გამოვლინდა გარემოს დაცვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევები, კერძოდ, ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლის ტემპერატურამ შეადგინა ზოგიერთ შემთხვევაში 40, 50<sup>0</sup> C-ზე მეტი, ერთ-ერთ საწარმოში კი ტემპერატურული მაჩვენებელი 74<sup>0</sup> C-საც კი გაუტოლდა; ასევე გამოვლინდა სახიფათო და მუნიციპალური

ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების ფაქტები; გარდა ამისა, ჩამდინარე წყლებში წყალბადის მაჩვენებელი დადგენილს გაცილებით აღემატებოდა; ასევე, ნავმისადგომზე, მოპოვებული თევზის რესურსის მცურავი საშუალებიდან სპეციალიზებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში გადმოტვირთვისას ხდებოდა ხმელეთიდან ზღვის ნარჩენებით, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურება. როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი დარღვევები საკმაოდ მძიმეა და მავნე შედეგების მომტანია არა მხოლოდ ადამიანებისთვის, არამედ მთელი ფლორისა და ფაუნისთვის. აქვე,

საინტერესოა, გავანალიზოთ ამ სამართალდარღვევების საპასუხოდ გამოყენებული სანქციების ოდენობები, მაგალითად, შპს „გეოფიშ კომპანის“ 2017 წლის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისთვის დაეკისრა ჯარიმა 1,000 ლარის ოდენობით, დანარჩენ კომპანიებს კი - 500 ლარის ოდენობით. მათ ასევე დაეკისრათ გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელმაც ჯამურად ოთხივე საწარმოსთვის შეადგინა 61,442.53 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ფოთში მოქმედი თევზის გადამამუშავებელი საწარმოების მიმართ გამოყენებულ იქნა გარემოს დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელეები.

ჯარიმის რაოდენობის სიმცირის გამო ეს ზომები უშედეგო და არაეფექტურია. კომპანიებს, რომლებსაც მილიონობით ლარის შემოსავალი აქვთ, ამ ოდენობის ჯარიმის გადახდა ურჩევნიათ, ვიდრე უზრუნველყონ სწრაფად დარღვევების გამოსწორება. მიუხედავად საზოგადოების აქტიური პროტესტისა, ეს საწარმოები დიდი გულმოდგინებით არ გამოირჩევიან სწრაფი და ეფექტური რეაგირება ჰქონდეთ დარღვევების საპასუხოდ. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ 2018 წელს ხსენებული კომპანიების მიმართ შედგა სამართალდარღვევების შესახებ ოქმები ადმინისტრაციული მიწერილობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე, კომპანიებმა კი აღნიშნული ვალდებულებები განსაზღვრულ ვადაში არ განახორციელეს. ფოთის საქალაქო სასამართლომ ამის გამო მათ სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა. თუ გავითვალისწინებთ გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაკუთრებით მძიმე შედეგებს და დარღვევების სიმწვავეს, სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადება ადეკვატური სანქცია ვერ იქნება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნაკლოვანებას. კერძოდ, ჯარიმის კანონმდებლობით განსაზღვრული მოცულობა გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პრევენციულ ფუნქციას ვერ ასრულებს.

აგრეთვე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს მიემართა ქალაქ ფოთში 2015-2019 წლებში სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებში მათ მიერ აღრიცხული გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობების შესახებ ინფორმაციის მოწოდების თხოვნით. ჯამურად, 5 წლის მონაცემებით, ამ თანხამ 224,938.90 ლარი შეადგინა. თუ გავითვალისწინებთ დარღვევების მასშტაბებს და საწარმოთა რაოდენობას, სავარაუდოა, რომ უფრო ინტენსიური ინსპექტირებების შედეგად ეს თანხები ბევრად მეტი უნდა იყოს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აგრეთვე მიემართა კითხვით, განხორციელდა თუ არა უწყების მიერ დათვლილი გარემოსათვის მიყენებული ზიანის საბოლოო ანაზღაურება მათ მიერ ნახსენებ შემთხვევებზე. პასუხიდან კი ირკვევა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, დეპარტამენტი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას და აღნიშნული საკითხი მის კომპეტენციას სცდება. რაც, ცხადია, გამართლებულ პრაქტიკად ვერ შეფასდება, რადგან შესაბამისი ინსპექტირების განმახორციელებელი ორგანო პასუხისმგებელი უნდა იყოს, გაარკვიოს, მათ მიერ გამოანგარიშებული გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სრულად და საბოლოოდ განხორციელდა თუ არა შესაბამისი სამართალდამრღვევი პირების მიერ.

მეორე მხრივ, პრობლემას ასევე წარმოადგენს ის, რომ მოქმედი კანონმდებლობით სამართალდამრღვევ პირებს არ ეკისრებათ არანაირი ვალდებულება გაატარონ გარემოს აღსადგენად საჭირო გამასწორებელი ღონისძიებები წინასწარ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის მიხედვით. რეგულაციების თვითმიზანი არ უნდა იყოს თანხების დაკისრება პირთათვის (მით უმეტეს, უმრავლეს შემთხვევაში ვალდებულებების შესრულება დროში გაჭიანურებულია), არამედ საჭიროა, საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო პირვანდელ (restitutio in integrum) მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით აღდგეს.<sup>4</sup> აღნიშნული პრინციპი კანონმდებლობაში უკვე ასახულია, თუმცა, როგორც ჩანს, ჩანაწერი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და მისი ეფექტური აღსრულება არ ხორციელდება.

გარემოსთვის მიყენებული ზიანი ძალიან მძიმე და სავალალოა. საწარმოები შესაძლოა იხდიდნენ დაკისრებულ ჯარიმებს, თუმცა, გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება ერთჯერადი ჯარიმების გადახდით ვერ კომპენსირდება. მნიშვნელოვანია, „რესტიტუციის პრინციპი“ პრაქტიკაში განხორციელდეს, მათ შორის, შესაბამისი საწარმოებისთვის ზუსტად იყოს განსაზღვრული რა ღონისძიებების გატარება გახდება საჭირო ზიანის შესამცირებლად და აღნიშნულის შესრულებაზე განხორციელდეს ეფექტური ზედამხედველობა.

რაც შეეხება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხს, ქალაქ ფოთში მნიშვნელოვანი დაბინძურების კერაა ნავსადგური. სხვადასხვა წყაროს თანახმად, ფოთის ნავსადგურში ხდება ალუმინის ოქსიდის გადამუშავება, თუმცა შესაძლოა ფოთის ნავსადგურში ასევე ხდებოდეს ბოქსიტის, მანგანუმის, კრინკერის გადამუშავება. აუცილებელია, ჩატარდეს ფოთის ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიის ექსპერტული გამოკვლევა, რომ ზუსტად დადგინდეს რა ნივთიერებები ვრცელდება ჰაერში და რამდენად აღემატება ჰაერში მათი შემცველობა დასაშვებ ზღვარს. მას შემდეგ, რაც ზუსტად დადგინდება, თუ როგორია ჰაერის დაბინძურების კუთხით მდგომარეობა ქალაქში, შესაძლებელი იქნება კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა იდენტიფიცირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად. ამ ეტაპზე კი არ არსებობს ფოთის ნავსადგურის ტერიტორიაზე ჰაერის

<sup>4</sup> გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი, მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

დაბინძურების საკითხის შესახებ არსებული ექსპერტული დასკვნები, რაც ხელს უშლის პრობლემის აღქმას და მოგვარებას.

პრობლემას კიდევ უფრო მწვავეს ხდის ის გარემოება, რომ ფოთის პორტთან ახლოს, რამდენიმე მეტრში მდებარეობს დასახლება, მრავალსართულიანი კორპუსები, რაც ფაქტობრივად ნიშნავს, რომ მოსახლეობა პირდაპირ ექცევა მომწამვლელი ნივთიერებების გაფრქვევის არეალში. აღნიშნული ნივთიერებები კი სასუნთქ გზებსა და ფილტვებს განსაკუთრებით აზიანებს. მოთხოვნის პასუხად, სამინისტრომ წარმოადგინა 2019 წელს ოთხ ეტაპად ჩატარებული ქალაქ ფოთში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდიკატორული გაზომვების მონაცემები, შედეგები ნამდვილად საწუგემოა და მიაჩნია, რომ შერჩეულ ტერიტორიებზე ოზონისა და აზოტის დიოქსიდების შემცველობების კარგი/მაღიან კარგი მაჩვენებლებია. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვებას ევრო დირექტივებით დადგენილი სტანდარტების მიხედვით, არ მოქმედებს „ინტეგრირებული მოდელირების სისტემა“.

აღნიშნულის თაობაზე მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის გაზიარების თხოვნით მივმართეთ სამინისტროს. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შესაბამისი პროექტი მომზადებულია და მისი ინიცირება მალე მოხდება საქართველოს პარლამენტში. აქვე, კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება. როგორც ირკვევა, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს არ შეუმოწმებია ჰაერის ხარისხი ზუსტად იმ ტერიტორიაზე, სადაც უდიდესი დაბინძურების კერებია, მათ შორის, ფოთის პორტის მიმდებარე ტერიტორია, სადაც ხდება სწორედ ალუმინის ოქსიდისა და სხვა სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერებების ჰაერში გაფრქვევა. ალუმინის ოქსიდის ადამიანის ორგანიზმში მოხვედრას გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება, შესაძლოა დააზიანოს ადამიანის სასუნთქი და გულსისხლძარღვთა სისტემა.

ფოთის საზღვაო ნავსადგურში დოკერ-მექანიზატორად მომუშავე პირის გარდაცვალების ფაქტზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში დაადგინა მიზეზობრივი კავშირის არსებობა პირის გარდაცვალებასა და მის მიერ ალუმინის ოქსიდის გადმოტვირთვის სამუშაოების განხორციელებასთან.<sup>5</sup>

საკითხი პრობლემურია არამხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ჯერ არ არის განსაზღვრული დაბინძურების კერა და მასშტაბები, არამედ იმ ხარვეზების გამოც, რაც დღეს არსებულ კანონმდებლობას აქვს. კერძოდ, „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის“ შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პირის პასუხისმგებლობას გარემოზე საშიშ ნივთიერებათა ზემოქმედების შედეგად მიყენებული ზიანისთვის ბრალის მიუხედავად, თუ ამით დაზიანდა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. კანონის

<sup>5</sup> იხ. სუსგ Nას-395-735-05, 18 ნოემბერი, 2005წ.

ხარვეზია საშიში ნივთიერებების განსაზღვრის დეფიციტი. ის ამ მხრივ, გვთავაზობს ზოგად განმარტებას და არა კონკრეტულ ჩამონათვალს.<sup>6</sup>

ამრიგად, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ქმედითი და ეფექტური ღონისძიების გატარება ქალაქ ფოთში შექმნილი მეტად კრიტიკული და მწვავე ეკოლოგიური საკითხების გადასაწყვეტად. უპირველესად, აუცილებელია, დაიხვეწოს არსებული საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გაიზარდოს დასაკისრებელი ჯარიმების ოდენობა, მათ შორის, ზედაპირული წყლების დაბინძურებისას მუნიციპალური, საყოფაცხოვრებო თუ სახიფათო ნარჩენებით, რომლებიც დიდ საფრთხეს უქმნიან როგორც მოქალაქეებს, ასევე მიმდებარე ეკოსისტემას და დაცული ტერიტორიას - კოლხეთის ეროვნულ პარკს.

თევზის არასასიამოვნო სუნის აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია, ჰაერის დაბინძურების პრობლემის ყოველმხრივი შესწავლა, ადგილობრივი მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების აქტიური მონაწილეობით ისეთი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რომელიც დაბინძურების კერების აღმოფხვრას უზრუნველყოფს. „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის“ კონსტიტუციური პრინციპის გატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუმცა, საზოგადოების ამ პროცესებში მონაწილეობა და ჩართულობა კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, მათ შორის, სანებართვო გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>7</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა როგორც პრობლემის შესწავლის, ასევე შემდგომ რეაგირების მექანიზმების დანერგვის ეტაპზე.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის;
2. გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის N17 დადგენილება;
3. ნარჩენების მართვის კოდექსი;
4. გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონი;

<sup>6</sup> ყალიჩავა კ., „გარემოს დაცვის სამართალი“ - „საშიში ნივთიერებების დეტალური ჩამონათვალი მოცემული იყო 1997 წლის საგადასახადო კოდექსის მე-200 მუხლში, ასევე, მინისტრის 1997 წლის 3 ნოემბრის N139 ბრძანებაში „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფეროში გაფრქვეულ და წყლის ობიექტებში ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ფარდობითი საშიშროების კოეფიციენტების“ დამტკიცების თაობაზე, რომლებიც 2004 წლის ახალი საგადასახადო კოდექსის საფუძველზე გაუქმდა და მისი ჩამონათვალის შესახებ დღეისთვის რაიმე კონკრეტული ნორმატიული აქტი არ არსებობს.“

<sup>7</sup> საზოგადოების სავალდებულო მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას გარანტირებულია ორპუნის კონვენციითაც, რომელიც შეიძლება ეხებოდეს როგორც ახალ ნებართვას, ნებართვაში არსებითი ხასიათის ცვლილებას ან სანებართვო პირობების აქტუალიზაციას.

5. საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ კომპენსაციის შესახებ საქართველოს კანონი;
6. კობა ყალიჩავა „გარემოს დაცვის სამართალი“.

[დანართი 1](#)

ინდიკატორული გაზომვების შედეგები

(2019 წელი)

ცხრილებში მოცემულია სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტოს მიერ ქ. ფოთში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით 2019 წელს ჩატარებული ინდიკატორული გაზომვების ბოლო ორი ეპატის შედეგები.

გაზომვების მეთოდოლოგიის შესაბამისად გარკვეული პერიოდის (ორი კვირა) განმავლობაში სხვადასხვა დასახლებული პუნქტის წინასწარ შერჩეულ წერტილებში წარმოებდა ინდიკატორული მილაკების განთავსება.

**სექტემბერი**

| N | მისამართი                          | NO2                  |                         | O3                   |                         |
|---|------------------------------------|----------------------|-------------------------|----------------------|-------------------------|
|   |                                    | კონცენტრაცია, მკგ/მ3 | ჰაერის ხარისხის ინდექსი | კონცენტრაცია, მკგ/მ3 | ჰაერის ხარისხის ინდექსი |
| 1 | ცენტრალური პარკი                   | 10.90                | ძალიან კარგი            | 51.53                | ძალიან კარგი            |
| 2 | აღმაშენებელის ქ., საჯარო სკოლა N15 | 21.48                | ძალიან კარგი            |                      |                         |
| 3 | ბარათაშვილის ქუჩა                  |                      |                         | 55.65                | ძალიან კარგი            |

**ნოემბერი**

| N | მისამართი                          | NO2                  |                         | O3                   |                         |
|---|------------------------------------|----------------------|-------------------------|----------------------|-------------------------|
|   |                                    | კონცენტრაცია, მკგ/მ3 | ჰაერის ხარისხის ინდექსი | კონცენტრაცია, მკგ/მ3 | ჰაერის ხარისხის ინდექსი |
| 1 | ცენტრალური პარკი                   | 15.92                | ძალიან კარგი            | 38.92                | ძალიან კარგი            |
| 2 | აღმაშენებელის ქ., საჯარო სკოლა N15 | 29.64                | კარგი                   |                      |                         |

[დანართი 2](#)

**ქ.ფოთში გარემოსათვის მიყენებული ზიანი**

**2015-2019 წ.წ.**

| # | წ.წ. | სულ, გარემოზე მიყენებული ზიანი (ლარი) | გარემოსთვის მიყენებული ზიანი ადმინისტრაციუ | სისხლის სამართლის საქმეებზე მიყენებული ზიანი (ლარი) |
|---|------|---------------------------------------|--|---|
|   |      |                                       |  |   |

|     |           |            | ლ საქმეებზე<br>(ლარი) |          |
|-----|-----------|------------|-----------------------|----------|
| 1   | 2015 წელი | 28,472.21  | 26,211.41             | 2,260.80 |
| 2   | 2016 წელი | 30,043.50  | 30,014.12             | 29.38    |
| 3   | 2017 წელი | 83,188.69  | 83,188.69             | -        |
| 4   | 2018 წელი | 67,216.19  | 67,216.19             | -        |
| 5   | 2019 წელი | 16,068.49  | 14,308.49             | 1,760.00 |
| სულ |           | 224,989.08 | 220,938.90            | 4,050.18 |